# ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული ქვეპროგრამის „ლუკა ასათიანის სახელობის სტიპენდია წარმატებული სტუდენტებისათვის“ ფარგლებში კონკურსის გამოცხადების, განაცხადის განხილვისა და სტიპენდიების გაცემის წესი

## მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული ქვეპროგრამის „ლუკა ასათიანის სახელობის სტიპენდია წარმატებული სტუდენტებისათვის“ ფარგლებში სტუდენტთა შერჩევა განხორციელდება კონკურსის მეშვეობით.

2. კონკურსს ატარებს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის (შემდგომში - მერი) ბრძანებით შექმნილი კომისია.

3. ქვეპროგრამა „ლუკა ასათიანის სახელობის სტიპენდია წარმატებული სტუდენტებისათვის“ ითვალისწინებს ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი და მეორე საფეხურის უმაღლეს საგანამანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ იმ საუკეთესო 50 სტუდენტზე ლუკა ასათიანის სახელობის სტიპენდიის გაცემას, რომლებიც უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხვის მომენტისათვის რეგისტრირებულნი არიან ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, მიღებული აქვთ დადებითი შეფასება (A) ფრიადი (91 ქულა და მეტი) წინა სემესტრის საშუალო აკადემიური მოსწრების დოკუმენტის თანახმად.

## მუხლი 2. ქვეპროგრამის მიზანი

ქვეპროგრამის მიზანია ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი და მეორე საფეხურის უმაღლეს საგანამანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ სტუდენტთა სწავლის სტიმულირება.

## მუხლი 3. სტიპენდიის მისაღებად საჭირო დოკუმენტთა ნუსხა

1. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად სტუდენტმა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში (შემდგომში - მერია) უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) განცხადება;

ბ) საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ასლი;

გ) 2 ფერადი ფოტოსურათი (3X4);

დ) მოქალაქის საცხოვრებელი ადგილის რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმეტი;

ე) ავტორიზებული უმაღლესი სასწავლებლის მიერ გაცემული ცნობა სტუდენტის ჩარიცხვის თარიღის, ფაკულტეტის, სპეციალობისა და კურსის მითითებით;

ვ) ცნობა შესაბამისი უმაღლესი სასწავლებლიდან სტუდენტის წინა სემესტრის შედეგების შესახებ;

ზ) ინფორმაცია სტუდენტის მიერ ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მიღებული შეფასების შესახებ - თუ განმცხადებელი ბაკალავრია;

თ) ინფორმაცია საერთო სამაგისტრო პროგრამებზე მისაღებ გამოცდაზე სპეციალობაში მიღებული შეფასების შესახებ - თუ განმცხადებელი მაგისტრანტია.

2. მერია უფლებამოსილია საჭიროების შემთხვევაში მოითხოვოს დამატებითი დოკუმენტაცია.

**მუხლი 4. სტიპენდიის მიმღები პირები**

სტიპენდია შეიძლება გაიცეს ამ წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ სტუდენტებზე, რომლებიც სწავლობენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების პირველი და მეორე საფეხურის შემდეგ საგანმანათლებლო მიმართულებებზე/დარგებზე: ინჟინერია, არქიტექტურა, ბიზნესის ადმინისტრირება, ეკოლოგია/გარემოსმცოდნეობა, საზღვაოსნო მეცნიერებები (საზღვაო ნავიგაცია/გემის მექანიკა/გემის ელექტრომექანიკა), განათლების მეცნიერებები და მასწავლებლის განათლება, ბიოლოგია, კულტურული მემკვიდრეობა, ხელოვნება, ხელოვნებათმცოდნეობა, რესტავრაცია/კონსერვაცია და არქეოლოგია.

**მუხლი 5. სტიპენდიის ოდენობა**

ქვეპროგრამით „ლუკა ასათიანის სახელობის სტიპენდია წარმატებული სტუდენტებისათვის" და ამ წესით დადგენილი კრიტერიუმების დაცვით ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში აკადემიური უმაღლესი განათლების პირველ და მეორე საფეხურზე ჩარიცხული საუკეთესო 50 სტუდენტი, რომელთა საშუალო შეწონილი ქულა არის 91 და მეტი, მიიღებს ლუკა ასათიანის სახელობის სტიპენდიას თვეში 200 ლარის ოდენობით.

**მუხლი 6. სტიპენდიის გაცემის წესი**

1. სტიპენდია გაიცემა სემესტრებში ერთხელ.

2. 2015-2016 სასწავლო წლის პირველი სემესტრის განმავლობაში მიღებული შეფასებების მიხედვით სტიპენდია გაიცემა არაუგვიანეს 2016 წლის მაისის თვისა და ერთობლივად მოიცავს 4 სასწავლო თვეს.

3. 2015-2016 სასწავლო წლის მეორე სემესტრის განმავლობაში მიღებული შეფასებების მიხედვით, სტიპენდია გაიცემა არაუგვიანეს 2016 წლის ნოემბრისა და ერთობლივად მოიცავს 6 სასწავლო თვეს.

**მუხლი 7. კონკურსის ეტაპები**

1. კონკურსი მოიცავს ორ ეტაპს:

ა) დოკუმენტების მიღება - პირველი ეტაპი;

ბ) დოკუმენტების განხილვა - მეორე ეტაპი.

2. დოკუმენტების მიღებას აწარმოებს მერიის აპარატის საქმისწარმოების განყოფილება. დოკუმენტაცია შემდეგ გადაეცემა მერის ადმინისტრაციის განათლებისა და კულტურის განყოფილებას, რომელიც წარუდგენს კომისიას ინფორმაციას სტუდენტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ქვეპროგრამით „ლუკა ასათიანის სახელობის სტიპენდია წარმატებული სტუდენტებისათვის" და წინამდებარე წესით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის თაობაზე.

3. არასრული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში კომისია არ განიხილავს სტუდენტის განაცხადს.

4. კონკურსის მეორე ეტაპზე ხორციელდება დოკუმენტების განხილვა.

**მუხლი 8. განაცხადების მიღების ვადები**

1. 2015-2016 სასწავლო წლის პირველი სემესტრის განმავლობაში მიღებული შეფასებების მიხედვით სტიპენდიების მისაღებად განაცხადების მიღება იწარმოებს 2016 წლის 29 თებერვლიდან 1 აპრილის ჩათვლით, 09 საათიდან - 18 საათამდე.

2. 2015-2016 სასწავლო წლის მეორე სემესტრის განმავლობაში მიღებული შეფასებების მიხედვით სტიპენდიების მისაღებად განაცხადების მიღება იწარმოებს 2016 წლის 26 სექტემბრიდან 31 ოქტომბრის ჩათვლით, 09 საათიდან - 18 საათამდე.

3. კომისია შემოსულ განაცხადებს განიხილავს და მიღებული გადაწყვეტილების შესახებ განმცხადებელს აცნობებს განაცხადების მიღების ვადის ამოწურვიდან 20 დღის ვადაში.

**მუხლი 9. კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღების წესი**

1. კომისიის მუშაობას ხელმძღვანელობს კომისიის თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნისას - კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.

2. კომისია:

ა) ამტკიცებს იმ კონკურსანტთა სიას, რომელთა განაცხადებები არ შეესაბამება წინამდებარე წესით დადგენილ მოთხოვნებს და იღებს გადაწყვეტილებას მათი კონკურსიდან მოხსნის თაობაზე;

ბ) განიხილავს კონკურსანტების განაცხადებს (საკონკურსო დოკუმენტაციას) და გამოავლენს საუკეთესო შედეგების მქონე სტუდენტებს;

გ) წარუდგენს მერს ინფორმაციას კონკურსის შედეგების შესახებ.

3. კომისია უფლებამოსილია, თუკი სხდომას ესწრება სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი მაინც.

4. თუ ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის უმაღლეს საგანამანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ ორ ან მეტ სტუდენტს მიღებული აქვს თანაბარი ქულა, თანხა გაიცემა ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების აბსოლუტური ქულების ჯამით რანჟირების დოკუმენტის საფუძველზე რეიტინგის მიხედვით. თუ ერთიან ეროვნულ გამოცდაზე ორ ან მეტ სტუდენტს მიღებული აქვს თანაბარი აბსოლუტური ქულების ჯამი, სტიპენდია გაიცემა შემდეგი თანმიმდევრობის დაცვით:

ა) ერთიან ეროვნულ გამოცდაზე ზოგადი უნარების გამოცდაში მიღებული უფრო მაღალი სკალირებული ქულის შესაბამისად;

ბ) ერთიან ეროვნულ გამოცდაზე ქართული ენისა და ლიტერატურის გამოცდაში მიღებული უფრო მაღალი სკალირებული ქულის შესაბამისად;

გ) ერთიან ეროვნულ გამოცდაზე უცხოური ენის გამოცდაში მიღებული უფრო მაღალი სკალირებული ქულის შესაბამისად.

5. თუ ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში აკადემიური უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის უმაღლეს საგანამანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ ორ ან მეტ სტუდენტს მიღებული აქვს თანაბარი ქულა, სტიპენდია გაიცემა იმ სტუდენტზე, რომელსაც სამაგისტრო პროგრამებზე მისაღებ გამოცდაზე სპეციალობაში მიღებული აქვს უფრო მაღალი შეფასება.

ინფორმაცია 2015-2016 სასწავლო წლის მეორე სემესტრის შედეგების შესახებ

| N | სტუდენტის სახელი, გვარი | ფაკულტეტი/სპეციალობა | საშუალო შეწონილი ქულა | სტუდენტის ტელეფონის ნომერი |
|---|---|---|---|---|
| | | | | |
| | | | | |
| | | | | |
| | | | | |
| | | | | |
| | | | | |
| | | | | |
| | | | | |
| | | | | |
| | | | | |
| | | | | |

P.S

გთხოვთ, ცხრილში შეიყვანოთ მხოლოდ პირველი და მეორე საფეხურის უმაღლეს საგანამანათლებლ
პროგრამებზე ჩარიცხული ის სტუდენტები, რომლებიც უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხვის მომენ
რეგისტრირებულნი იყვნენ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, მიღებული აქვთ დადები
(A) ფრიადი (91 ქულა და მეტი) წინა სემესტრის საშუალო აკადემიური მოსწრების დოკუმენტის თანა

ამასთან, სტიპენდია შეიძლება გაიცეს იმ სტუდენტებზე, რომლებიც სწავლობენ შემდეგ სპეციალობებ
ნავიგაცია, გემის მექანიკა, გემის ელექტრომექანიკა, მენეჯმენტი (საზღვაო გადაზიდვების ორგანიზა
ლოჯისტიკა) , საკრუიზო ტურიზმის მენეჯმენტი , მენეჯმენტი (ნავსადგურის მენეჯმენტი) , საერთაშ
ბიზნესის მენეჯმენტი